ფოთში სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა იწყება
გვ. 2

ფოთში ახალ სასწავლო წელს საბავშო ბაღები მომზადებული შეხვდა
გვ. 2

გაძვირდება თუ არა „პური ჩვენი არსებისა„
გვ. 2

ჭოროხი ფოთელი

ფასი 50 თეთრი № 18 14 - 21 სექტემბერი 2015 წელი\ გამოდის სამშაბათობით

თურქეთის სანაპირო დაცვის გემი ფოთში

გვ. 2

რა უჯდება მშობელს ბავშვის სკოლაში გაშვება?

გვ. 3

ახალ სასწავლო წელს ჩხოროწყუს ბაღები მოწესრიგებული შეხვდა თავის აღსაზრდელებს

გვ. 3

რატომ ეწინააღმდეგება მოსახლეობა გუმბათის შეკეთებას?

გვ. 4

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?
აქ გვიპოვი ჩვენ
www.msnews.ge

ფოთის ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო წელი დაიწყო

ქეთი ჭითავა
ფოთი

დღეს ფოთის ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო წელი დაიწყო. ახალი სასწავლო წელი ყველგან საზეიმო ვითარებაში დაიწყო. ზეიმში მონაწილეობა ადგილობრივმა მთავრობამაც მიიღო. ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე თოფურიამ და რესურსცენტრის დირექტორმა გოჩა ქორქიამ სწავლის დაწყება რამდენიმე სკოლას თავად მიულოცეს.

ფოთში სულ 11 საჯარო და 3 კერძო სკოლაა. წელს ფოთის საჯარო სკოლაში 480 პირველკლასელი მივიდა.განათლების სამინისტრომ წელსაც ტრადიცია არ დაარღვია და 480-ვე პირველ კლასელს განახლებული პორტაბელური კომპიუტერი – ბუკი საჩუქრად გადასცა.

წელს პირველკლასელთა რეგისტრაცია სამ ეტაპად მიმდინარეობდა. მათთვის,ვინც გარკვეული მიზეზების გამო,ვერ მოახერხა რეგისტრაციის დროულად გავლა, დამატებითი რეგისტრაცია ჩატარდა პირველად ორ სექტემბერს. ეს ეხებოდა იმ სკოლებს,სადაც არსებობდა ვაკანტური ადგილები.

ბუქები ასევე გადაეცათ პირველი კლასის ხელმძღვანელებსაც, დამრიგებლებსაც, რათა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩაერთონ. ამავე დროს, პირველივე დღესვე უფასოდ სახელმძღვანელოების კომპლექტი გადაეცა მოსწავლეებს. ფოთის საჯარო სკოლებში დაახლოებით 5652 მოსწავლე ისწავლის. წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ფოთის მე-6 საჯარო სკოლის შენობის ფასადისა და გადახურვის რეაბილიტაციისთვის 160 ათასი ლარი გამოეყო,ხოლო მე-8 საჯარო სკოლისთვის 175 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი . ამჟამად , სკოლის შენობის სახურავი განახლებულია, მთლიანად შეიცვალა ხის კონსტრუქციები და ძველი თუნუქის ფურცლების ნაცვლად, მეტალოკრამიტით დაიფარა სახურავი. შეიცვალა ძირითადი კორპუსის შესასვლელი კარები.

„ახლა ძველი დრო არ არის„- ყურუას პასუხი ნინოშვილის №39-ში მაცხოვრებლებს

გვ. 4

„კავკასიონი„ ფოთსაც ეწვევა

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
მარი ჯავახია -
579 241 122

დისტრიბუციის სამსახური
მარი ალიხანაშვილი
551 122 570-
კორესპონდენტები:

მარი ალიხანაშვილი
(ფოთი)
551 122 570

ქეთი ჭითავა
(ფოთი)
598 21 20 11

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2014 წლის ბოლოდან 20 %-ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია.

და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი - 2.4 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,7 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ფოთში ახალ სასწავლო წელს საბავშო ბაღები მომზადებული შეხვდა

ქეთი ჭითავა
ფოთი

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით № 3 საბავშვო ბაღს ქალაქის ხელმძღვანელები სტუმრობდნენ.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების უფროსის მარგო ჯანიაშვილის განმარტებით გასულ წლებთან შედარებით, ახალ სასწავლო წელს 15 საბავშო ბაღი ბევრად მომზადებული შეხვდა. გარკვეული პრობლემები ცალკეულ ბაღებში არსებობდა გადახურვასთან, სველ წერტილებთან, ელქტროენერგიასთან დაკავშირებით, მაგრამ თანდათან მოგვარდა. ზაფხულის განმავლობაში შეუწყვეტლივ მუშაობდა №1 ბაღი, სადაც 3 ჯგუფი ფუნქციონირებდა. როგორც გაერთიანების ახალმა ხელმძღვანელმა მარგო ჯანიაშვილმა გვითხრა: “ წელს ბავშვთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა, 2030 შეადგინა და 72 ჯგუფია. წელს ბაღებმა სკოლებში 492 ბავშვი გააცილეს. კანონში ცვლილებების

გამო, სკოლის გარეშე დარჩა 180 ბავშვი. კვების რაციონის მრავალფეროვნებისათვის მომავალი წლის ბიუჯეტიდან მოთხოვნილია 2 ლარი თითო ბავშვზე. რაც შეეხება რემონტს – ყველა ბაღში ჩატარდა მიმდინარე რემონტი. დამონტაჟდა მძლავრი ორთქლის გამწოვი სავენტილაციო სისტემა. შეკეთდა სახურავები №9, №1, №11, №6 №5 ბაღებში. .№10 ს/ბაღში შეკეთდა კედელი. მოწესრიგდა ეზოები, მოიცელა ბალახი. მიმდინარეობს მოლაპარაკება აფხაზეთის დევნილთა სამინისტროსთან №9 ს/ბაღში 2 ჯგუფის კაპიტალურ რემონტთან დაკავშირებით. ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მომავალ სასწავლო წლისათვის იგეგმება №5 და №8 ს/ბაღების სრული რეაბილიტაცია. ყველა ბაღში აღებულია წყლის სინჯი და ჩატარებულია სადეზინფექციო სამუშაოები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტებით, სადაც აღწერილია ბავშვის განვითარების სფეროები, ქვესფეროები, მიმართულებები და შედეგები. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი პატარებისათვის”.

ფოთში სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა იწყება

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

ფოთში, მალთაყვის რაიონში, რამდენიმე თვის წინ დაგეგმილი ახალი პროექტი –მოკლე გადასასვლელი გზის მშენებლობა და სანაპირო ზოლის მშვიდობის ქუჩამდე მოწყობა იწყებს განხორციელებას. პროექტის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს ზურაბ ყურუას. როგორც მან გვითხრა: “მოგეხსენებათ, ტენდერს აქვს თავისი პროცედურები. უკვე გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია, ეს არის აზერბაიჯანული კომპანია ”პირამიდა”, რომელსაც ფილიალი საქართველოშიც აქვს. ველოდებით ხელშეკრულების გაფორმებას, ამის შემდეგ გარკვეული პერიოდი მოსამზადებელ სამუშაოებს დაჭირდება და ალბათ, მომზადებიდან 10 დღეში დაიწყება სანაპირო ზოლის მშენებლობა. თუ აღნიშნულმა კომპანიამ ვერ წარმოადგინა გარკვეული საბუთები, მას არ გაუფორმდება ხელშეკრულება და გადავალთ მომდევნო პრეტენდენტზე, მაგრამ იმედია, რომ ეს ფირმა წარმოადგენს გარანტიას და გავაფორმებთ ხელშეკრულებას. პირველ ეტაპზე გაკეთდება ის ნაწილი, რაც მოესწრება ვადებში. რაც შეეხება თანხას, ეს უნდა გაკეთდეს ტრანსფერით და რამდენი იქნება გამოყოფილი, ამ დროისთვის ზუსტად ცნობილი არ არის”.

როგორც გავარკვიეთ, წელს, სავარაუდოდ, 2 მილიონ ნახევარი ლარი გამოიყოფა, მომავალი წლისთვის კიდევ ამდენივე. იმედია, სხვა გაჭიანურებული და დაუმთავრებელი პროექტებივით არ დაემართება მალთაყვის სანაპირო ზოლსაც და განხორციელებულ სამუშაოებს ვიხილავთ.



გაძვირდება თუ არა ,,პური ჩვენი არსობისა,,

მარიამ ჯავახია
ფოთი

ბოლო დროს ლარის კურსის გაუფასურებამ, დოლარის კურსის ზრდამ და ელექტროენერგიის საფასურის მომატებამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ყველაფრის ფასზე, რაც მეტად განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება ისედაც მწირ შემოსავლიან მოსახლეობაზე. ერთი პროდუქციის ან მომსახურების გაძვირება ჯაჭვურ რეაქციას იწვევს და ყველაფერს აძვირებს. მაგალითად ელექტროენერგიაზე ფასის მატებას მოყვება პურის ფასის მატებაც. ამის გასარკვევად საცხობებს მივმართეთ. პურზე ფასის მომატება ყველგან უარყვეს. ისიც გვითხრეს, თბილისში თუ გაძვირდა პური, შესაძლოა, აქაც გაძვირდესო. ზოგან – ფქვილის ფასების მიხედვით განვსაზღვრავთო – თქვეს. ჯერჯერობით, ფასები შენარჩუნებულია, მაგრამ ცხადია, ასე დიდხანს არ გაგრძელდება. ასეც შეიძლება მოხდეს, რომელიმე საცხობმა ფასი არ მოუმატოს, მაგრამ წონაში მოუკლოს პურს, რაც იგივე გამოდის.

რას აკეთებს ხელისუფლება ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად? ამ კუთხით ჯერჯერობით სასიკეთო არაფერი ჩანს და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა კი უფრო მძიმდება.

ამასთან დაკავშირებით ერთი ძველი ამბავი მახსენდება: ერთ-ერთ დამპყრობელს ქართველებისთვის დიდი ხარკი შეუწერია. აკრეფის დროს აყაყანებულან, აყვირებულან ქართველები. უკითხავს ამკრებისთვის სულთანს – რა თქვეს ქართველებმაო? იყაყანეს მაგრამ გადაიხადესო. მოუმატეთ გადასახადებიო- უბრძანებია სულთანს და ასე რამდენჯერმე გარგრძელებულა. ბოლო აკრების დროს ისევ უკითხავს დამპყრობელს – რაო, რა თქვეს ქართველებმაო? ხარკის ამკრებს უპასუხია გახარებულს - არაფერი თქვეს, გაიცინესო. მოუხსენით მაგათ ყველა გადასახადიო, სიმწრით გაცინებულ ქართველზე უფრო საშიში, არაფერია დედამიწაზეო –უბრძანებია სულთანს.

თურქეთის სანაპირო დაცვის გემი ფოთში

ფოთის მერს ირაკლი კაკულიას საქართველოში მეგობრული ვიზიტით მყოფი თურქეთის სანაპირო დაცვის გემის მეთაური, კაპიტან–ლეიტენანტი ზაფერ არსლანი და ეკიპაჟის წევრები ეწვივნენ.

თურქული გემი, ფოთის ნავსადგურში საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მოწვევით, მეგობრული ვიზიტით შემოვიდა. ირაკლი კაკულიამ თურქ სამხედრო მეზღვაურებს ფოთის ისტორიულ წარსულზე, ნავსადგურის მნიშვნელობასა და ქალაქში ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე, ასევე თურქეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის გაღრმავებასა და თურქეთის რომელიმე შავიზღვისპირა ქალაქთან შესაძლო დამეგობრების თაობაზე ესაუბრა.

თავის მხრივ, თურქმა კაპიტანმა ზაფერ არსლანმა მადლობა გადაუხადა მერს და საქართველო–თურქეთის სანაპირო დაცვის უწყებათა თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. შეხვედრას საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პირველი რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე ესწრებოდა.

რა უჯდება მშობელს ბავშვის სკოლაში გაშვება?

ᲥᲔᲗᲘ ᲭᲘᲗᲐᲕᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ყოველი სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებული სამზადისი მოჰყვება ხოლმე. სკოლის მოსწავლეები ახალი სასკოლო ფორმებისა და სასწავლო ნივთების შესაძენად მშობლებთან ერთად გამოცოცხლებულ სასკოლო ბაზრობას მიაშურებენ ხოლმე. გამოცოცხლებულს იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ბოლო დროს ბაზრობა კლიენტების ნაკლებობას უფრო მეტად განიცდის. დოლარის კურსის ზრდამ და, შესაბამისად, ლარის გაუფასურებამ ფასები საკმაოდ გაზარდა. ერთი შეღავათი კი არსებობს – განათლების სამინისტრო სახელმძღვანელოებს ისევ უფასოდ არიგებს, მაგრამ მხოლოდ სახელმძღვანელოები, მოგეხსენებათ, საკმარისი არ გახლავთ და მშობლებს სხვა პრობლემები გააჩნიათ. რა უჯდება მშობელს შვილის სკოლაში გაშვება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ბაზრობას ვეწვიეთ.

სასწავლო წლის დაწყებამდე სამი დღით ადრე ბაზარში მყიდველების რაოდენობამ, მართალია, იმატა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით აშკარად სინაკლებეა, რაზეც გამყიდველები

სინანულით საუბრობენ. ხშირად ვაწყდებოდი ბავშვების უკმაყოფილო სახეებს, რომლებიც დაღონებულნი შესცქეროდნენ დახლებზე გასაყიდად გამოტანილ სასკოლო ჩანთებს, რადგან მაღალი ფასის გამო, უმეტეს შემთხვევაში, მშობელს არ შეუძლია ბავშვის სასურველი ნივთის შეძენა.

ერთ-ერთი მშობელი ნათია სიჭინავაც ფასებით უკმაყოფილო მშობლების რიგშია: "ორი შვილი მყავს და ძალიან გამიჭირდა სასკოლო ნივთების შეძენა მათთვის. შარშანდელთან შედარებით ფასები საკმაოდ მომატებულია და რათქმა უნდა, ყველაფერს ვერ ვყიდულობ ბავშვებისთვის. მიუხედავად ამისა მაინც სასკოლო სამზადისი 300 ლარზე მეტი დამიჯდა. მინდა, ყველა ბავშვი სკოლაში ბედნიერი და გახარებული წავიდეს და კარგად ისწავლოს. ყველა მშობელი ცდილობს შვილისთვის ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ რომ არ არის საშუალება, რა უნდა ვქნათ? კიდევ კარგი სახელმძღვანელოები მაინც უფასოა".

მანანა ქებურიასაც სასკოლო ბაზრობაზე შევხვდით: "ძალიან მინდოდა, ჩემი შვილი სკოლისთვის კარგად გამომეწყო, საუკეთესო მეყიდა, მაგრამ ეკონომიის გაკეთება მომიწია. ბავშვი შარშანდელი ჩანთით უნდა გავუშვა წელსაც. მთავარია, სასკოლო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი კარგი შევუძინო. უფასო სახელმძღვანელოები ცოტა შეღავათი მაინცაა ჩვენთვის. მართალია სახელმძღვანელოები არ მქონდა საყიდი და რაღაც ნივთებშიც ეკონომია გავაკეთე, მაგრამ მაინც სამზადისი 250 ლარი დამიჯდა".

მშობელი ნანა გუჩუა უფრო პრაქტიკულ გზას ირჩევს. როგორც გვეუბნება: " ფორმის შესაკერად ნაჭერი შევიძინე. ეკონომიურად ძალიან მიჭირს და მზა ფორმას ვერ ვიძენ. ახლობელი მკერავი მყავს და იმის იმედად ვარ, უფასოდ შემიკერავს ფორმას. სასკოლო ნივთებში, წვრილმანებში ისედაც ძალიან ბევრი ფული მიდის. მე ერთი ბავშვის გამოწყობა გამიჭირდა და იმან

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ 4- ᲒᲕ.

ახალ სასწავლო წელს ჩხოროწყუს ბაღები მოწესრიგებული შეხვდა თავის აღსაზრდელებს

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ
ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ

წლების განმავლობაში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი საბავშვო ბაღების სიმცირეს განიცდიდა. რაიონის ცენტრში არსებულ 5 საბავშვო ბაღს შენობა არ გააჩნდა და წლების განმავლობაში ნაქირავებში იმყოფებოდნენ. როგორც ჩხოროწყუს გამგებლიის მოადგილემ ვალერი თოდუამ გვითხრა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს პრობლემა აღმოფხვრილია და დღეს უკვე ყველა საბავშვო ბაღს შენობა გააჩნია. თოდუასვე განმარტებით ამჟამად გაორმაგებულია როგორც ბაღების რაოდენობა, ასევე აღსაზრდელებისაც. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 34 საბავშვო ბაღში და 1000- ზე მეტი აღსაზრდელია: "რაიონში 32 ათასი მაცხოვრებელია და 34 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ყველა სოფელში საბავშვო ბაღი გაიხსნა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველა არსებული ბაღი გარემონტდა და შეიტანეს ახალი ინვენტარი. ბაღებში წლების განმავლობაში არ ჰქონდათ შუქი, თუმცა იყო დაბაში ისეთი ბაღები, რომლებიც წლების განმავლობაში ქირას იხდიდნენ. მართალია, საერთაშორისო სტანდარტებს ჯერაც ვერ შეესაბამება, მაგრამ ძალიან დიდი პროგრესია. ამას გარდა, მოგეხსენებათ, ბაღი უფასო გახდა სამჯერადი კვებით. დაახლოებით 1 მილიონი ლარია ჩხოროწყუს ბაღების წლიური ბიუჯეტი. 30% გაიზარდა აქ დასაქმებულების ხელფასი. 200-ზე მეტი ადამიანია მთლიანად ბაღებში დასაქმებული. რაც მთავარია, დღეს თითქმის აღსაზრდელი არაა დარჩენილი ჩვენს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღის გარეშე. ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, დაახლოებით 640 ათასი ლარია გამოყოფილი. სოფლებში, სადაც ბაღის პრობლემა გამოიკვეთა ყველგან გავითვალისწინეთ. 34-ვე ბაღში სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია და პერიოდულად რემონტდება საჭიროების მიხედვით. ეს ყველაფერი, როგორც გითხარით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ხორციელდება. პირველ რიგში ბაღების საკითხი დავაყენეთ პრიორიტეტად, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე მოგვესწრო მათი რემონტი და აღსაზრდელებს გარემონტებული სუფთა და ლამაზი გარემო დახვედროდა. მინიმუმ 120 ათასი ლარი მოხმარდა ბაღების გარემონტებას. ახალ სასწავლო წელს ყველა ბაღი მოწესრიგებული შენობით ხვდება თავის აღსაზრდელებს".

როგორც გამგებლის მოადგილე გვეუბნება, წელს ჩხოროწყუს - გარახის, ჭოღის, ახუთსა და დაბას 4 ახალი ბაღი შეემატა. გაუქმებული ბაღებიც უკვე აღდგენილია, რადგან აღსაზრდელთა რაოდენობა იზრდება. "მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს სხვადასხვა პრობლემები, მაგრამ ჩვენ ვეცდებით მათ მოგვარებას, რათა ჩვენმა პატარებმა კომფორტულ გარემოში შეძლონ ცხოვრების გარკვეული ნაწილის გატარება"- აღნიშნა თოდუამ.

,,ახლა ძველი დრო არ არის,,- ყურუას პასუხი ნინოშვილის №39-ში მაცხოვრებლებს

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

ფოთში ნინოშვილის №39-ში ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის მცხოვრებლებმა მოგვმართეს დახმარებისთვის. ისინი რამდენიმე თვეა, ადგილობრივ ხელისუფლებას თხოვენ დახმარებას საცხოვრებელი კორპუსის გადახურვასთან დაკავშირებით. წლებია, მათ საცხოვრებელ სახლს შეიძლება ითქვას სახურავი არ აქვს და ბინებში ყოველი წვიმის დროს წყალი ჩადის. როგორც ზედა სართულის მაცხოვრებლები ამბობენ, წყლის ჩასვლის გარდა ჭერის ჩამონგრევის საშიშროებაც არსებობს: „სანამ ცუდი რამ არ მოხდება და ტრაგედია არ დატრიალდება, ალბათ, მანამ არავინ მოგვაქცევს ყურადღებას. რამდენჯერმე ვიყავით მისულები მერიაში, მაგრამ ამ წელს არ გვაქვს ბიუჯეტში თანხები და ვერ შევაკეთებთო – ესაა მათი პასუხი. არადა, დღითი დღე უარესი მდგომარეობაა, განსაკუთრებით წვიმის დროს, წყალი ჩამოდის, ყველაფერი გაგვიფუჭდა, გაგვინადგურდა. აქ ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ სად წავიდე? წვიმაც რომ არ იყოს, ისედაც საშიშია აქ ცხოვრება, წყლის შედეგად სულ ჩამორეცხილია კედელი, როდის ჩამოინგრევა, არავინ იცის. კიბეებსაც ჩამონგრევის საშიშროება ემუქრება ამის გამო. იქნებ თქვენ გვიშველოთ და მიაწვდინოთ ხმა ვისაც ხელეწიფება ამის გაკეთება, ჩვენ არავინ გვისმენს. არჩევნების დროს, იცოცხლე, ხმის მიცემა რომ უნდოდათ, ყველა კარგად იძლეოდა დაპირებებს, მერე კი ყველამ დაივიწყა ხალხიც და მათი პრობლემებიც"- გვითხრეს აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლებმა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსს ზურაბ ყურუა როგორც გვეუბნება: "ძალიან ბევრი განცხადება შემოდის. ჩვენ ყველა განცხადებაზე ვახდენთ რეაგირებას, ყველგან მიდიან ჩვენი თანამშრომლები. ნინოშვილის №39–ში მდებარე ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე რამდენიმე შიფერია გამოსაცვლელი, რატომღაც ყველას გონია, ადრე რომ იყო მერიის სამსახური, ისევ ისეა - რომ მივიდეს და გამოცვალოს. ეს სახლი არის მათი კერძო საკუთრება და ყველანაირი სარემონტო სამუშაოები მათ უნდა ჩაატარონ, მაგრამ სახელმწიფო ითვალისწინებს იმას, რომ მოსახლეობას არ აქვს საშუალება და თუ კაპიტალური რემონტია ჩასატარებელი, მაშინ სახელმწიფო გააკეთებს. ბევრი სახლია გადახურული. იქ არის რამდენიმე, ეს ასე მარტივად არ ხერხდება. ხალხმა უნდა გაითვალისწინოს, ბიუჯეტში რამდენია თანხა. ასეთ სიტუაციაში უნდა გამოცხადდეს ტენდერი. ჯერ საპროექტო ორგანიზაცია დაითვლის, რა ხარჯებია საჭირო, შემდეგ ცხადდება ტენდერი და გამარჯვებული ფირმა გადახურავს. პატარ–პატარა რემონტებს სახელმწიფო ვერ გააკეთებს, თან ეს სახლი კერძო საკუთრებაა, პრივატიზებულია. ყველა სახლს უნდა ყავდეს ამხანაგობის თავმჯდომარე, რომ ამ ყველაფერს აგვარებდეს, მაგრამ ამ სახლს არ ყავს რატომღაც, ყოველშემთხვევაში ჩვენ ვერ ვნახეთ. იქ არის 54 მოსახლე, უბრალოდ 50–50 ლარი რომ შეაგროვონ, სრულიად საკმარისი იქნება სახურავის გასაკეთებლად. 500 ლარიანი დახმარება რომ გაუწიოს მერიამ ვინმეს, ის უნდა იყოს სოციალურად დაუცველი. პატარა მიმდინარე რემონტები თავად უნდა გააკეთონ. სახელმწიფო, რათქმაუნდა, გაუწევს დახმარებას, მაგრამ თავიდან ბოლომდე სახელმწიფოს ხარჯზე ვერავინ იქნება. როგორც გითხარით, ეს იყო ადრე, ძველ დროში არიან დარჩენილნი. ჩემი თხოვნა იქნება, ცოტა ცივილიზებულად ვიფიქროთ და ასეთი რემონტები თვითონ გააკეთონ".



რა უჯდება მშობელს ბავშვის სკოლაში გაშვება?

დასაწყისი 3-გვ.

რა ქნას, ვისაც ორი და სამი ბავშვი ყავს სკოლაში გასაშვები? იმედია, მომავალ სასწავლო წელს მაინც იგივე პრობლემები აღარ გვექნება".

როგორი ვაჭრობა აქვთ ბაზარში გამყიდველებს სასკოლო პერიოდში, ამის გასაგებად რამდენიმეს გავესაუბრეთ. ყველა მათგანი კლიენტის აშკარა ნაკლებობას უჩივის: "ამ მხრივ ძალიან ცუდი სიტუაციაა. ხალხს არა აქვს ფული, არ დადის ბაზრობაზე და, შესაბამისად, ჩვენც ცუდ დღეში ვართ. დღეს ყველა ცდილობს, საკვები შეიძინოს და ტანსაცმლის დარდი ვიღას აქვს, თუ ღმერთი გწამთ? ყველა მშობელი ცდილობს იაფად შეიძინოს სასკოლო და ისიც აუცილებელი ნივთები". იგივეს ამბობენ სხვებიც: "სიმართლე გითხრათ, ასეთი ცუდი სასკოლო ბაზრობა ჯერ არ მახსოვს. წინა წლებშიც უამრავი კლიენტი არ იყო, მაგრამ ახლა საერთოდ არ დადის ხალხი ბაზრობაზე. ფული არ აქვთ და რა ქნან? ჩვენც რა უნდა ვქნათ და ასე როდემდე გაგრძელდება, გაურკვევველია. იმედით ვცოცხლობთ, უკეთესობის მოლოდინში ვართ. ჩემი დიდი სურვილია, ყველა ბავშვი სკოლაში კმაყოფილი წავიდეს. ვუსურვებ კარგ სწავლას ყველას და აგარ მინდა ბავშვების ცრემლიან თვალებს ვუყურებდე, როცა რამეს ვერ ყიდულობენ".

რატომ ეწინააღმდეგება მოსახლეობა გუმბათის შეკეთებას?

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

ოთხიოდე წლის წინ, ფარნავაზ მეფის №1–ში ხუთ სართულიან შენობას კუთხეში გუმბათი დაადგეს. გუმბათი ძალიან ალამაზებდა შენობასაც და ქალაქის იერ-სახესაც ფრიად მოუხდა. რამდენიმე ხნის წინ, ძლიერმა ქარმა გუმბათის ნაწილი დააზიანა, მოგლიჯა და ცუდად აისახება ქალაქის სილამაზეზე. რამდენიმე თვეა გუმბათმა თავისი პირვანდელი სახე დაკარგა, მაგრამ ამის შეკეთებას დღემდე საშველი არ დაადგა. რატომ ჭიანურდება გუმბათის ამ დრომდე შეკეთება და იგეგმება მის აღდგენასთან დაკავშირებით ამის გასარკვევად ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს ზურაბ ყურუას მივმართეთ. როგორც მან გვითხრა: "როდესაც გუმბათი დააზიანა ქარმა, მივიდნენ ჩვენი თანამშრომლები, მიიტანეს მასალა, მიიყვანეს ამწე ეგრეთწოდებული ჟირაფი, მაგრამ მოსახლეობამ კატეგორიული უარი განაცხადა მის შეკეთებაზე - წყალი ჩამოდისო - ამბობენ. ახლა ამას გააკეთებთ და წყალი რომ ჩამოვა, იმას აღარ მიაქცევთ ყურადღებასო- გვითხრეს. ახლა ვცდილობთ, რამე მოვახერხოთ და გავაკეთოთ. ცოტახნის წინ მერის მოადგილეც იყო გასული ადგილზე, ექსპერტიც მიიწვიეს და ველოდებით დასკვნას. თუ გაკეთდება ისე, რომ წყალიც აღარ ჩავიდეს, დასკვნის შემდეგ მალევე გავაკეთებთ. რატომღაც მოსახლეობას არ სჯერა, რომ შეიძლება ისე გაკეთება, წყალი რომ არ ჩავიდეს. გუმბათის მოხსნასაც კი ითხოვდნენ, მაგრამ თუ ექსპერტი იტყვის, რომ გაკეთდება, რატომ მოვხსნით?"

ყურუას კომენტარის მერე აღნიშნული კორპუსის მოსახლეობას მივმართეთ, გვაინტერესებდა, რა პრობლემები აქვთ გუმბათთან დაკავშირებით. მათ რატომღაც კომენტარისგან თავი შეიკავეს, მხოლოდ ერთმა მათგანმა გვითხრა (მანაც რატომღაც ვინაობა არ გაგვიმხილა?!), რომ ეს გუმბათი ძალიან უბრალოდ გახლდათ გაკეთებული - თხელი მუყაოს თაბაშირით და ამიტომაც გაფუჭდა. მერე კი მოსახლეობის სურვილიც გვითხრა - ან უნდა მოიხსნას, ანაც კაპიტალურად ისე უნდა გაკეთდეს, რომ წყალი არცერთ ოჯახში აღარ ჩავიდეს და ზიანი არ მიაყენოს. იმედია, ყველაფერი ისე გაკეთდება, გუმბათიც დარჩება და მოსახლეობის ბინებიც არ დაზიანდება ყოველი წვიმის დროს.

„ᲐᲛᲓᲔᲜᲛᲐ ᲬᲐᲜᲬᲐᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲚᲐᲚᲐ“ ᲓᲐ „ᲒᲕᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲔ?“

ᲥᲔᲗᲘ ᲭᲘᲗᲐᲕᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ჩვენ ქალაქის დაუმთავრებელი და გაჭიანურებული მშენებლობები აქტუალობას არა და არ კარგავს და ჩვენც კვლავ ვუბრუნდებით ამ მოუგვარებელ პრობლემას. ფოთში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლიც ამ მშენებლობების სიაშია. სახლებს უკვე ორ წელზე მეტია სარემონტო -სარეკონსტრუქციო სამუშაოები უტარდება და მის დამთავრებას არ დაადგა საშველი. რემონტის ვადების ასე გაჭიანურებამ აღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწია.

ჩვენთან საუბარში მათ გულისტკივილი გამოთქვეს. როგორც გვითხრეს, სარემონტო სამუშაოების დროს ზიანი მიადგა მათ ბინებს ოთახებში -დაზიანდა ჭერი, გაიბზარა კედელი და დღემდე წყალი ჩამოდის. წყალი ჟონავს კედლებიდანაც. ამდენად, მათი მოთხოვნაა ტენდერი თავიდან ჩატარდეს



და უფრო კეთილსინდისიერ მშენებლებს გადაეცეთ მათი ბინები გასარემონტებლად. ერთ-ერთ სახლში მცხოვრები თალიკო ჯიმშელეიშვილი როგორც გვეუბნება: “არავის აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა. სამივე კორპუსის მშენებლობა რამდენიმე თვეა შეჩერებულია და პასუხის გამცემიც არავინაა. იქნებ ახალი ტენდერი დაინიშნოს, სხვა კომპანიამ გადაიბაროს და დასრულებას დაადგეს საშველი? ძალიან შეწუხებულები ვართ. ყოველი წვიმის დროს წყალი ჩამოგვდის და სულ დაძაბულები ვართ. რაც გაკეთდა, ისიც უხარისხოდაა გაკეთებული. თუ არ გაარემონტდა თავიდან, მუდმივად გვექნება პრობლემები. როდის შევძლებ ნორმალურად ვიცხოვრო? რემონტი ძალიან ძვირი დამიჯდა, ძლივს გავაკეთე. ჩვენ დაზარალებულებმა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დავწერეთ წერილი და ვის არ მივმართეთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით. იყვნენ მერიიდან მოსულები, გვითხრეს, მოიყვანეთ თქვენ მუშები და შეთანხმდითო. მერე ჩვენს მუშებსაც მოვიყვანთო და შედარებებს გავაკეთებთო, რად უნდა ამდენი შედარებები? ფაქტი სახეზეა. თვითონაც ძალიან კარგად იციან, რა არის გასაკეთებელი, ვის როგორი რემონტი ქონდა გაკეთებული, ამის მიხედვით უნდა შეაფასონ. ერთი თვე დავდიოდით მერიაში თხოვნით, რომ ეშუამდგომლათ სამშენებლო კომპანიასთან ზარალის ანაზღაურების თაობაზე. ოქმიც შედგა მერიის შუამდგომლობით ჩვენსა და სამშენებლო კომპანიას შორის. როგორც კი ჩაბარდება ეს შენობა ქალაქს, იმის მერე უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურება”.

ამავე კორპუსში მცხოვრები ნესტან დათუაშვილის თქმით, დაზარალებულები არიან ორივე კორპუსის არამარტო ბოლო სართულზე მაცხოვრებლები, არამედ მეორე სართულზეც ჩაუვიდათ წყალი და გაუფუჭდათ კედლები და ჭერი: “რაც შეეხება შეთანხმების ოქმს, ზოგი რამ არ მოგვეწონა. იქ წერია, რომ ანაზღაურება მოხდება შენობის ჩაბარების მერე, მანამდე ხომ უნდა მოხდეს აღწერა და აღწერაზე ჯერ არავინ ყოფილა. აღწერა საჭიროა, ვის რა ზიანი მოგვადგა და რა ოდენობის. ჩვენ ან თანხა უნდა მოგვეთხოვა, ან თვითონ უნდა გაეკეთებინათ, ჩვენ გვყავდა ხელოსანი მოყვანილი ადრე, რათა თვითონ მიგვეხედა ჩვენი თავისთვის, მაგრამ მერე ფასებმა იმატა სამშენებლო მასალებზეც და უკვე აღარ ვიცით, რამდენად მოვრიგდებით ფასებში. 2 წელზე მეტია, ეს სამუშაოები მიდის და სულ გვეუბნებოდნენ, რომ ასეთი სახის რემონტები, რეაბილიტაცია იწვევს თურმე ზიანს და ამისთვის ვართ მზადო და ჩვენც ზიანის შემთხვევაში გადავიხადოთ უნდა თანხაო. ოღონდ რამდენად აგვინაზღაურდება, ვერ გეტყვით. სარემონტო სამუშაო უნდა დასრულებულიყო 1 თვეში, მაგრამ როგორც გავიგეთ, უფინანსობის გამო შეჩერებულია. ფანჯრებიდანაც შეგვიდის წყალი. ჭერზე მუშაობის დროს საშენ მასალას როგორც ჩანს, სიმაღლიდან აგდებდნენ, რის გამოც ჭერი ზანზარებდა და გვეშინოდა, არ ჩამონგრეულიყო. ფაქტი სახეზეა - ჭერი გაბზარული და ჩამოწეულია. იმედია, ჩაბარების დღიდან 1 თვის განმავლობაში დანაპირებს შეასრულებენ. თუ არადა, ვაპირებთ სასამართლოში ჩივილს, ადვოკატს ავიყვანთ და გზაზე დაგვაყენებს. რამდენი ხანია, ასეთ დღეში ვართ, ამდენმა წანწალმა და შეხვედრებმა უკვე გადაგვღალა”- აცხადებენ ამ კორპუსის მაცხოვრებლები.

დაზარალებულები იმასაც კი ეჭვობენ, რომ კომპანიამ შესაძლოა მათსა და კომპანიას შორის დადებული ოქმი დაარღვიოს უფინანსობის მომიზეზებით. ამ შემთხვევაში, მათივე განცხადებით, გაჩერებას არ აპირებენ და სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. „თუ თავიანთ დანაპირებს არ შეასრულებენ, ჩვენ მივმართავთ სხვა ზომებს, სხვადასხვა ინსტანციებს. ყველა ერთმანეთს ამოვუდგებით და ასე არ გავჩერდებით. ზარალის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში სასამართლოს მივმართავთ. 14 დაზარალებული ოჯახი ვართ ამ ორ სახლში და ამ თოთხმეტივე ოჯახმა დავწერეთ წერილი. ამათ უნდათ, რომ კაპიკებში გამოიყვანონ თავიანთი საქმე და მგონი სულ ჭიდილი გვექნება ამ თანხებთან დაკავშირებით“- ამბობენ დაზარალებულები.

ჩვენ შევეცადეთ დავკავშირებოდით სამშენებლო კომპანიის მესვეურებს, რათა გაგვერკვია აპირებს თუ არა დაზარალებულების მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობის პოვნა გაგვიჭირდა, მხოლოდ საქმეთა მწარმოებელი ვნახეთ, რომელიც იმავე კორპუსში ქირით ცხოვრობს, მაგრამ მან არც ვინაობა გაგვიმხილა და კომენტარისგანაც თავი შეიკავა. შპს “ჯენერალ ქონთრაქშენ კომპანია“, რომელიც ფოთში ცენტრალურ ქუჩაზე ორი კორპუსის მასშტაბურ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ახორციელებს, ტენდერით გამოვლინდა. როცა კომპანიის წარმომადგენლებთან ვერაფრის გარკვევა ვერ მოვახერხეთ, შევეცადეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მაინც მიგვეღო განმარტებები, მაგრამ აქ უფრო მეტ წინააღმდეგობებს გადავაწყდით. მერის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგოლიამ მშენებლობის სამსახურის უფროს ზურაბ ყურუასთან გადაგვისამართა. ყურუამ თავის მხრივ საინფორმაციო სამსახურის უფროსთან გაგვიშვა, ამ უკანასკნელმა კი ისევ ყურუასკენ მიგვითითა. ასე წრეზე სირბილის მიუხედავად, პასუხი ვერ მივიღეთ და ვერაფერი გავარკვიეთ. შესაბამისად, ჩვენთვისაც გაურკვეველი დარჩა ფოთში მშენებლობები როდესმე მაინც თუ დამთავრდება და ცნობილი ადამიამის მეტად ცნობილი ფრთიანი მაგრამ პასუხგაუცემელი გამოთქმა გვახსენდება – გვეშველება რამე?

კინო-თეატრი, სმარტი ან მაკდონალდსი?

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

ფოთის ცენტრში, რკალზე რამდენიმე წლის წინ დაწყებული შენობა, სადაც კინო-თეატრი და სმარტი უნდა განთავსებულიყო, ჩანასახშივე შეჩერდა და მას მერე ვერ დაიძრა ადგილიდან. განახლდება თუ არა აღნიშნული შენობის მშენებლობა ან რა ბედი ელის მას საბოლოოდ, ამის გასარკვევად ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს მიხეილ სარიშვილს ვესტუმრეთ. მისი თქმით: „მშენებელ კომპანიას გააჩნია ვალდებულებები, რომელიც უნდა შეასრულოს. ეს შენობა 2012 წლიდანაა გაჩერებული. მშენებლობას 3 წლიანი ხელშეკრულების ვადა გაუვიდა, რის შემდეგაც ჩვენ გავაგზავნეთ მითითება, რომელსაც, თავის მხრივ, ჰქონდა გარკვეული ვადა - 20 დღე მშენებლობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. უნდა შემოსულიყვნენ ახალი ხელშეკრულებით, მაგრამ ვერ მოახერხეს. პარალელურად, ეკონომიკის სამინისტროსთან მოლაპარაკებაში არიან პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით. მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით დაჯარიმდნენ 5 000 ათასი ლარით და ეს დადგენილება გაიგზავნა 7 მაისს. აგვისტოში უნდა გააგრძელონ მშენებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ დაჯარიმდებიან 15 000 ლარით. დაჯარიმებიდან დაჯარიმებამდე სამ- სამი თვეა შუალედი. ეს დროც გასულია და ახლა უწევთ სამმაგი ოდენობით გადახდა. კარგი იქნება, თუ გაგრძელდება მალე მშენებლობა და მივიღებთ კინო-თეატრსაც და სმარტსაც. პროექტის მიხედვით შენობაში უნდა განთავსებულიყო სმარტი და ერთი დარბაზი დაეთმობოდა კინო-თეატრს. ჩვენი მხრიდან ყველანაირი ვადები დაცულია და ვადების გაქცევას ადგილი არ ქონია, ყველა რეაგირება აბსოლუტურად გატარებულია. სანამ არ დაიწყება მშენებლობა სულ ექნებათ ჯარიმები. მოგეხსენებათ, არც მათ აწყობთ ამდენი ჯარიმის გადახდა და, შესაბამისად, რაღაც გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჩვენს ქალაქს ჭირდება კინო-თეატრი. ყველა შემთხვევაში მათ მოუწევთ მშენებლობის გაგრძელება, რადგან ჯარიმების გადახდა ზარალის მომტანია კომპანიისთვის, ეს მხოლოდ დროის ამბავია. რაც შეხება ჩვენი ქალაქის მოსახლეობას, მას არ აინტერესებს, რატომაა გაჩერებული მშენებლობა. სურთ გარემონტებული და ლამაზი შენობები იყოს ქალაქში. ჩვენი ინფორმაციით, კომპანიას ამჯერად არ აწყობს კინო-თეატრის გახსნა, რადგან მომგებიანი არ არის ბიზნესისთვის. მათ უნდათ ამერიკული ბრენდების შემოტანა, მაგალითად მაგდონალდსის. ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან და თავდაპირველად დადებული შეთანხმებით კი მოთხოვნააა, რომ აუცილებლად უნდა იყოს კინო-თეატრი. თუ უნდა სხვა ბრენდი შემოიტანოს, კი ბატონო, მაგრამ მაინც მოთხოვნაა, რომ იქ იყოს აუცილებლად კინოთეატრიც. ჩვენც მივყვებით კანონით დადგენილ წესებს და არ არის არანაირი პოზიციების დათმობა ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება სხვა დაუსრულებელ შენობებს - უმეტესად კომპანია ხელფასებს ვერ არიგებს და თანამშრომლებს პროტესტის ნიშნად უწევთ სამუშაოს მიტოვება. ვიცით, რომ შენობების მესაკუთრეებს გარკვეული კონკრეტული პრობლემები აქვთ და უჭირთ მშენებლობის გაგრძელება. ეს მიტოვებული შენობები ყველა ექვემდებარება გარკვეული სახის ჯარიმებს, რაც, როგორც გითხარით, არც ერთი კომპანიისთვის არ გახლავთ სასურველი. ქალაქის ხელმძღვანელობის მოთხოვნაა, ხელშეკრულებაში მითითებულ დროში უნდა ჩაბარდეს ქალაქს გარემონტებული შენობები".

რას ფიქრობენ ფოთელები დენის ტარიფის მომატებაზე

მაია კვარაცხელია : „რა უნდა გითხრათ, ამ გაჭირვებაში შუქის გაძვირება გვინდოდა კიდევ? სამი თეთრით გააიაფეს ვითომ და 4 თეთრით გააძვირეს. ეს დაარტყამს ჩვენი ოჯახების ბიუჯეტებს, მაგრამ ვინ არის გამკითხავი? ალბათ ეს არის კარგ ცხოვრებას რომ გვპირდებოდა ახალი მთავრობა და ჩვენ ვერ ვხვდებით".

თინა ფირცხელავა: „ყველაფერს დოლარის აწევას აბრალებენ. კიდევ კარგი, ეს დოლარი რომ არსებობს და აქვთ თავის მართლების საშუალება ამ მთავრობას, თორემ რა ეშველებოდათ? ჩვენ რა ხეირი თუ დოლარი იმატებს ეგ რა შეღავათია ჩვენთვის, აქაც ისინი მდიდრებიან ხალხისთვის არავინ ფიქრობს, ყველა ხელისუფლება ხალხს ატყავებს".

ჟორა თურქია; „იცით რა, მე არ ვარ მთავრობის მეხოტბე, მაგრამ ალბათ არ გამოდის სხვანაირად, თორემ ხალხის უკმაყოფილება რატომ უნდა აწყობდეთ, კამიკაძეები არიან? თუ ქვეყნის ეკონომიკას სჭირდება და მერე უკეთესობა იქნება, კიდევ გავიჭირვებთ ცოტას. მაგრამ ვიცოდეთ რომ სამომავლოდ ყველაფერი გამოსწორდება."

ნოდარ სალაყაია: „რა ტარიფიც იყო, იმას ძლივს ვიხდიდი და ახლა რა ვიცი, გამოვრთო უნდა ყველაფერი და 21 საუკუნეში დავჯდეთ უშუქოდ, უტელევიზოროდ, და ყველაფრის გარეშე, რაც დენზე ირთვება. რა ვქნათ აბა? თუ ვერ გადავიხადე მაინც გადამიჭრიან. ასე ცხოვრება განა შეიძლება?"

ზინა ლატარია: „ჩვენ, ქართველები, ძალიან ამტანი ხალხი ვართ, რას არ გავუძელით და დენის გაძვირება რაღაა ჩვენთვის? იმედია დროებითი იქნება და მალე გამოსწორდება ყველაფერი".

ლაურა ჯგუბურია: „ჭირი ეტაკა შვილო ამ მთავრობას ამათმა სულ დააქციეს ქვეყანა, არადა ამას გვპირდებოდნენ არცევნებამდე დაიკლებსო ამბობდნენ და პირიქით გააძვირეს".

გურამ შონია; „ შვილო ყველაფერი გაყიდულია და კალაძე რას გახდებოდა. რომ დააკლო აქამდე ეგეც მისი დამსახურება იყო, ახლა ალბათ არ შეუძლია და რა ქნას. ვფიქრობ ასე არ გაგრძელდება დიდხანს და ისევ დაიკლებს".

ზვიად მირცხულავა: „ შუქის ტარიფის მომატება მარტო,? ამაზე მიბმულია ყველაფერი პურიც მოიმატებს და რაც შუქზეა დამოკიდებული ყველაფერი. ეს უნდოდა კიდევ ხალხს? ისედაც გაძვირებულია ყველაფერი და ცხოვრება უჭირს ამის გამო ხალხს".

ბონდო სიჭინავა: „ ეს რა გააკეთეს შვილო, ხალხი ისედაც გაჭირვებაში იყო და ამათმა კიდევ დაუმატა. ხალხი ისეთ დღეშია სად წავიდნენ აღარ იციან, ქუჩაში რომ ვუყურებ ყველა დაბნეული დადის, რადგან იმდენი საზრუნავი აქვთ ოჯახში რა მიიტანონ არ იციან, შვილებს რა აჭამონ. უმუშევრობამ ხომ წალეკა ქვეყანა ახლა კიდევ ამ დენის გაძვირება, ესღა აკლდათ. მოკლედ ხალხზე როდის იყო რომ ფიქრობდნენ, ამ ხელისუფლებასაც რომ ეფიქრა?

ორი ფერმერი ქალბატონის წარმატებული ისტორია

ENPARD- ი წარმოგიდგენთ კიდევ ერთ ფოტო ისტორიას წარმატებული კოოპერატივის შესახებ, რომელმაც უკვე ისარგებლა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით და პირველი შედეგიც მიიღო. ENPARD-მა, რეგიონალური პარტნიორის "ქეა საერთაშორისოს" მეშვეობით დააფინანსა ქალთა ახლადშექმნილი კოოპერატივი „ვარდი-2014". ამ ყოველივეს უკან ძლიერი ქალების ბრძოლა დგას, არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებელისთვის, არამედ მეგობრების შესანარჩუნებლად. დიახ, მაშინ როცა ახლა უკვე კოოპერატივის ორი წევრ ქალბატონს არალეგალური ემიგრაციის მძიმე და სასტიკი გზა ერთადერთ გამოსავლად ეჩვენებოდა ეკონომიკური პრობლემებისთვის თავის დასაღწევად, მათი უმძიმესი არჩევანის თავიდან ასარიდებლად მეგობრებს გაუჩნდათ იდეა, რომ გამოეყენებინათ ENPARD-ის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობა, რომელიც სოფლის- მეურნეობის სფეროში არსებულ კოოპერატივებს განვითარებას და წინსვლას სთავაზობს.

„ვარდი 2014 " ახლად შექმნილი ქალების ფერმერული ჯგუფია, სადაც ახლობელი ქალბატონები გაერთიანდნენ ერთი სურვილის გარშემო, წამოეწყოთ საკუთარი ბიზნესი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა როგორც მათი ოჯახების შემოსავლებს, ამასთან განავითარებდა მათ შესაძლებლობებს და ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობის საშუალებასაც მისცემდა. მათი სურვილის განხორციელებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ერთ-ერთი მათგანის ეზოში განთავსებული იყო უფუნქციოდ დარჩენილი 240 მ2 სასათბურე კარკასი, რომელიც წარმატებით შეიძლებოდა გამოეყენებინათ სარფიანი ბიზნესის დასაწყებად.

„ჩვენ გვაქვს საკმაოდ რთულ პერიოდში ერთმანეთის გვერდში დგომის გამოცდილება, ახლაც, ჩვენი ჯგუფის 2 წევრი სოციალური პრობლემების გამო უცხოეთში სამუშაოდ აპირებდა წასვლას. ეს კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი იყო, რამაც საქმიანობის დაწყების მოტივაცია გაგვიჩინა",- აცხადებს ჯგუფის ერთ- ერთი წევრი, ქალბატონი ლეილა.

მართალია ჯგუფს არა აქვს ბიზნესის წარმოების არავითარი გამოცდილება, მაგრამ ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან და აქვთ მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა სფეროში, ამიტომ ფუნქციებიც მათი პროფესიების და შესაძლებლობების მიხედვით გადანაწილდა: ლეილა ჩოჩიამ 2 წლის წინ გაიარა USAID NEO–ს მიერ ორგანიზებული ტრეინინგი მესათბურეობაში. ის მარკეტინგის საკითხებზე მუშაობს. ნანა კუპრეიშვილი აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონია, განათლებით აგრონომ- დეკორატორი. სოხუმის დაცემამდე მუშაობდა ქალაქის გამწვანების სამსახურში. კოოპერატივში მუშაობს პროფესიული კუთხით. მანანა ბოკუჩავა განათლებით ბუღალტერია და ის კოოპერატივის ფინანსურ საკითხებს უძღვება. ინგა მუგასაშვილი ვარდების გაყიდვაზე იმუშავებს. ის ამჟამადაც მაღაზიის გამყიდველია და ამ კუთხით საკმაო გამოცდილება აქვს. ნანა ფანცულაია პროექტის კოორდინატორია. ვინაიდან სათბური ნანას ეზოშია განთავსებული, ის ყველაზე მეტადაა დაკავებული სათბურში ყოველდღიური საქმიანობით. მიუხედავად იმისა რომ „ვარდი 2014" უკვე გაიფურჩქნა, კოოპერატივის წევრების თქმით ისინი ჯერ ბუჩქის გაძლიერებაზე აკეთებენ აქცენტს და პროდუქციის რეალიზაციის დაწყებას სექტემბრიდან ვარაუდობენ. პროდუქციის სარეალიზაციოდ გამოიყენებენ მათ მფლობელობაში არსებულ ფორდის მარკის მსუბუქ ავტომანქანას.

გრანტის ფარგლებში კოოპერატივის წევრებმა სასათბურე კარკასიდან მოაწყვეს სასათბურე მეურნეობა სარკმელებით და სავენტილაციო ჭრილებით, დაამონტაჟეს წვეთოვანი საირიგაციო სისტემა, საჩრდილობელი ბადე, ეზოში არსებულ ხელოვნურ წყალსაცავთან გააკეთეს წყლის საქაჩი მოწყობილობა, შეძინეს და დარგეს 500 ძირი ვარდის ნერგი. ამ საქმიანობებისათვის მათ ქეასგან მოითხოვეს 7909 ლარი. გარდა ამ თანხისა კოოპერატივის ფულადი თანადაფინანსება შეადგენდა 4488 ლარს, რაც გამოიხატა შრომითი წვლილით და არაფულადი წვლილი 8000 ლარი, მათ საკუთრებაში არსებული სასათბურე კარკასის სახით.

კოოპერატივ „ვარდი-2014"-ის წევრები მომავალში აბაშის ცენტრში საკუთარი ყვავილების მაღაზიის გახსნას გეგმავენ, სადაც ვარდებთან ერთად გაყიდიან სხვა ჯიშის ყვავილებს და მცენარეთა დაცვის საშუალებებს. "ჩვენ ვეცდებით ჩვენი ბიზნესის მამოძრავებელი იყოს წარმატებული მენეჯმენტი, რომლის დროსაც ჯერ კარგად ვფიქრობთ და შემდეგ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ვხედავთ ფართო სურათს, ვიხედებით შორს. ასევე ვეცდებით ბიზნესი თავისი გადაწყვეტილებებით იყოს მოქნილი, რაც საშუალებას მოგვცემს მუდმივად ცვალებად გარემოში შევინარჩუნოთ პოზიციები. შესაძლებლობებზე ფოკუსირება საშუალებას მოგვცემს ჩვენი სუსტი მხარეები ჩვენს უპირატესობებად ვაქციოთ, რაც წარმოებისათვის გრძელვადიან პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანია" – ამბობენ ჯგუფის წევრები.

„კავკასიონი„ ფოთსაც ეწვევა

მარიამ ჯავახია

ჩხოროწყუ

ორიოდე წლის წინ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ანსამბლი „კავკასიონი„ ჩამოყალიბდა, რომელიც 12 წევრისგან შედგება. ანსამბლის ჟანრი ეთნოპოლკი გახლავთ, რაც ხალხური და ელექტრონული მუსიკის სინთეზია. ანსამბლმა სულ მოკლე ხანში შეძლო პოპულარობის მოპოვება. პატრიარქის კურთხევით ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ლაზურ- ქართულ ფესტივალში. რამდენიმე კონცერტი ჩაატარეს რეგიონშიც. რამდენიმე დღის წინ ჩხოროწყუში გამართულ ბიზნესფორუმზეც მოახდინეს პრეზენტაცია. ანსამბლს შემდეგი განვითარებისთვის გარკვეული თანხები სჭირდება, რამდენიმე სპონსორი კი ყავთ, მაგრამ არაა საკმარისი. სწორედ ამ სპონსორების მეშვეობით შეძლეს აქამდე არსებობა, მაგრამ კიდევ უფრო წარმატების მისაღწევად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტი ფინანსებია საჭირო.

„კავკასიონის“ შექმნამდე მისი წევრები სახალხო ანსამბლში გახლდნენ გაერთიანებულნი. ანსამბლის ხელმძღვანელი ირაკლი კაჭარავა როგორც ამბობს, სურდათ ახალი რამ ეთქვათ ხელოვნებაში: „ფოლკლორულ ანსამბლს იმდენი გასაქანი არ აქვს, რომ თანამედროებისთვის გვეპასუხა. მარტო ფოკლორით ფონს ვერ გავდივართ. მხოლოდ ფინანსური მხარე არ მაქვს მხედველობაში. არამედ უფრო ინტენსივობა, გამოჩენა საზოგადოებაში, განვითარება. ფოკლორი სპეციფიკური მხარეა და მას თავისი ჩარჩოები აქვს. მაინც პროვინციული ანსამბლია და მას იმდენი გასაქანი არ აქვს. ამიტომ ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ

ამ ჟანრით წავსულიყავით და აქაც გვეცადა ჩვენი შესაძლებლობები. რამდენად შეგვეძლო გვეპასუხა თანამედროვე მოთხოვნებისთვის. გაგვიმართლა მოლოდინმა. ჩვენ ეს შევძელით, მაგრამ გასაკეთებელი და სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს".

ანსამბლის ხელმძღვანელს ირაკლი კაჭარავას თავად გაუჩნდა ანსამბლის შექმნის იდეა. თავად წერს სიმღერებსაც, ტექსტსაც და კომპოზიციასაც. ხოლო ყველაფერ ამას, როგორც კაჭარავა ამბობს, ბიძგი მისცა უწმინდესის ლოცვა -კურთხევამ. ატრიარქს ერთ შოუში მოუსმენია ანსამბლის მიერ შესრულეული სიმღერა „გოლუაფირო საქართველო“ და ძალიან მოსწონებია. ამის შემდეგ უწმინდესმა აუდიენცია მოუწყო ანსამბლის წევრებს. კაჭარავა იმ სამ სიმღერას გამოყოფს, რომლებმაც მათ პოპულარობა მოუტანა - „გოლუაფირო საქართველო", აფხაზებისთვის მიძღვნილი სიმღერა და „კოხტა აჭარა“.

მიუხედავად უფინანსობისა და ცუდ პირობებში მუშაობისა, ანსამბლის წევრები ცდილობენ, არ დაიშალონ. იმედოვნებენ, რომ ანსამბლს სპონსორი გამოუჩნდება და რეგიონებში ტურნესაც განაგრძობენ. უახლოეს დღეებში ისინი ფოთსაც ესტუმრებიან დარწმუნებული ვარ, ფოთელ მსმენელს და მუსიკის მოყვარულებს დიდი სიამოვნება ელით მათ კონცერტზე.

რა კითხვებზე მოუნევთ პასუხის გაცემა პედაგოგებს? თვითშეფასების კითხვარი დამტკიცდა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის ფარგლებში, (რომელიც ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება) პედაგოგთა თვითშეფასების კითხვარი დაამტკიცა. კითხვარის შევსება მასწავლებლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოუწევთ და ის პედაგოგებს სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დაურიგდებათ. რის.გეგანათლება დაინტერესდა, რა კითხვებზე მოუწევთ პასუხის გაცემა პედაგოგებს,ჩვენ კითხვარის სრული დოკუმენტი მოვიპოვეთ,რომელიც არც თუ ისე მცირე მოცულობისაა, ამიტომაც მის შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ:

I მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობა:
აღნიშნულ პუნქტში მასწავლებელმა შემდეგ კითხვებს უნდა უპასუხოს:
ინტერესდება და ცდილობს თუ არა გავითვალისწინოს მოსწავლის სასწავლო, ემოციური და სოციალური პრობლემები?
ცდილობს შექმნას ისეთი საკლასო გარემო, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დაეხმარონ და იზრუნონ ერთმანეთზე?
ყურადღებას ამახვილებს თუ არა მოსწავლის ძლიერ მხარეებზე, ამავდროულად, აძლევს თუ არა რჩევებს საჭირო უნარების გასავითარებლად
მოსწავლეებთან საუბრისას ყურადღებას აქცევს თუ არა საკუთარ ლექსიკას და სხეულის ენას (ხმის ტონს, სახის გამომეტყველებას, თვალის კონტაქტს, ჟესტიკულაციას, მიმიკას)
ყველა მოსწავლეს უდგება თუ არა ინდივიდუალურად, სტერეოტიპებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის გარეშე?

II მოსწავლეთა ტოლერანტობის გრძნობის წახალისება, მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა:
ეცნობა და პატივს სცემს თუ არა მოსწავლის რელიგიურ რწმენას, ასევე მის კულტურულ თავისებურებებს, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შორის ერთიანობისა და სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებას, თანამშრომლობითი გარემოს შექმნას საკლასო ოთახში?
მოსწავლეთა პიროვნულ, კულტურულ, სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას იყენებს თუ არა როგორც სასწავლო რესურსს?
ცდილობს, მოსწავლეებმა აღიქვან პარტნიორად?
ახალისებს პროსოციალურ ქცევებს (სხვის დახმარებას, ზრუნვას)?

III დამტკიცებულ კითხვარში ადგილი ეთმობა ინკლუზიური განათლების საკითხებს:
სპეციალისტებთან ერთად ქმნის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით?
აფასებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროგრესს?

IV კლასის მართვა (ქცევის წესების დაცვა):
კლასში ქცევის წესებს მოსწავლეებთან ერთად იმუშავებს?
მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ ქცევის წესების დარღვევისათვის სანქციების შემუშავებაში?
მოსწავლეების რთულ აქტივობებში ჩართვის მიზნით იყენებს თუ არა კარგად გაწერილ და მკაფიოდ ფორმულირებულ ინსტრუქციებს?
მოსწავლეებს აძლევს მკაფიო მითითებებს ამა თუ იმ დავალების შესრულების შესახებ (მაგ., ვერბალური, ვიზუალური, ფიზიკური დემონსტრირების გზით)?

V სასწავლო რესურსის მართვა და გამოყენება:
ახდენს სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული რესურსების კლასიფიკაციას -კატეგორიზაციას; არჩევს და იყენებს მათ სასწავლო მიზნის შესაბამისად?
სასწავლო რესურსის შერჩევისას ფიქრობს იმაზე, თუ რამდენად გაზრდის ეს რესურსი სწავლის მოტივაციას მოსწავლეებში?
მიზანმიმართულად იყენებს თუ არა თვალსაჩინოებებს, რაც მოსწავლეებს უადვილებს ახალი ინფორმაციის აღქმასა და გაგებას?
ამზადებს სასწავლო რესურსს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით?

VI გაკვეთილის დაგეგმვა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით:
წინასწარ გეგმავს თუ არა გაკვეთილს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით?
გაკვეთილის მსვლელობისას, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, ახდენს თუ არა გაკვეთილის გეგმის მოდიფიცირებას?
მოსწავლეებს უხსნის გაკვეთილის/სასწავლო აქტივობის მიზანს და მოსალოდნელ შედეგებს?
მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გეგმავს თუ არა კლასგარეშე აქტივობებს?

VII სწავლისა და სწავლების სტრატეგიები:
იყენებს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარების განვითარებაში?
მოსწავლეებს სთავაზობს მკაფიო ინსტრუქციებს და პროცედურებს სასწავლო აქტივობებისთვის გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით?
მოსწავლეთა საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით იყენებს თუ არა სწავლების დიფერენცირებულ მიდგომას?
მოსწავლეებს რეგულარულად აძლევს საკლასო და საშინაო დავალებებს, რომლებიც ეხმარება მათ არსებითი და არაარსებითი ინფორმაციის განსხვავებაში, ცნებებსა და იდეებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების დანახვასა და ინფორმაციის სინთეზში?

VIII დისკუსიის დაგეგმვა; დისკუსიის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება:
ხელს უწყობს მოსწავლეებს, დაასაბუთონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები?
თავს არ ახვევს მოსწავლეებს არც საკუთარ და არც აღიარებულ/სტერეოტიპულ მოსაზრებებს?
მოსწავლეებს უბიძგებს საკუთარი და სხვების აზრების კრიტიკული შეფასებისაკენ?
მოსწავლეებს უსვამს პრობლემურ შეკითხვებს, რაც ხელს უწყობს მათ ჩართვას კამათში და აქტიურ დისკუსიაში?

VIII მოტივაცია და აქტიური მონაწილეობა– ხალისიანი და დინამიური გაკვეთილის ჩატარება:
იყენებს მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეებს სტიმულს აძლევს, დასახონ სასწავლო მიზნები და მათი მიღწევის გეგმა?
მოსწავლეებს რთავს სხვადასხვა სახის კვლევით აქტივობებში, რომლებიც იწვევს მათ ინტერესს და ასევე უკავშირდება რეალურ სიტუაციებს?
მოსწავლეებს აძლევს საკუთარი ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზაციის, ასევე არჩევანის გაკეთებისა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვის შესაძლებლობას?

IX სწავლების დროს შეფასების გამოყენება:
მოსწავლეებს რთავს შეფასების კრიტერიუმების (რუბრიკის) შემუშავების პროცესში?
მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ხარისხიანი ნამუშევარი (შეფასების რუბრიკები, ხარისხიანი ნამუშევრის ნიმუში და სხვა) ?
ყველა დაინტერესებულ პირს (მშობლებს, კოლეგებს, სხვ.) აცნობს ინფორმაციას შეფასების რუბრიკების, მეთოდების, ასევე შემაჯამებელი სამუშაოს ვადებისა და ტიპების შესახებ?
სწავლის პროცესში გამოყოფს მნიშვნელოვან ეტაპებს, განსაზღვრავს თითოეულ ეტაპზე მისაღწევ შედეგებს და იყენებს სხვადასხვა სახის განმავითარებელ შეფასებას,რათა დაეხმაროს მოსწავლეებს თითოეულ ეტაპზე საკუთარი პროგრესის შეფასებაში?

X პროფესიული ქცევა:
გაკვეთილზე ცხადდება დროულად?
მოსწავლეებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას არის კონსტრუქციული, კორექტული და იცავს ეთიკის ნორმებს?
საჭირო დოკუმენტაციას აწარმოებს დროულად და ხარისხიანად?
თავს არიდებს თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებას სასკოლო სივრცეში?
მისი ჩაცმულობა სასკოლო სივრცეში შეესაბამება მასწავლებლის ეთიკის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს?

XI პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა:
ეძებს და ეცნობა პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო ბეჭდურ, ელექტრონულ და მულტიმედიურ რესურსებს?
ეუფლება ეფექტური სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს?
ეუფლება სსსმ სწავლების მეთოდიკას და მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებებზე მორგებულ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს?

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„

აცხადებს კონკურსს „წელიწადის გამყიდველი„-ს სახელზე

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მაღაზიაშიც იყიდება გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციაში საზეიმო ვითარებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლება ყველა გამყიდველს რომლის მაღაზიაშიც გაიყიდება გაზეთი.

რედაქციას შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება მკითხველებმა მიაღებინონ მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ ღებულობს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

1. ხმის მიცემა მოხდება გაზეთში დაბეჭდილი კუპონების მეშვეობით.
2. მკითხველს შეუძლია მისცეს ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა - ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამოჭრილ კუპონზე (ქსეროქსზე გადაღებული კუპონები კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობენ)
3. თვეში ერთხელ ამოირჩევა - თვის საუკეთესო გამყიდველი, რომელიც მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიმცემიც.
4. წლის ბოლოს კი დასახელდება წელიწადის გამყიდველი, რომელიც მიიღებს მნიშვნელოვან საჩუქარს.
5. ხმის მიცემა შეუძლია ყველა მკითხველს. თითოეულს შეუძლია შეავსოს გაზეთიდან ამოჭრილი კუპონების ნებისმიერი რაოდენობა. კუპონები შეიძლება გაიგზავნოს ან მოიტანონ რედაქციაში, ან შეიძლება მოიტანონ მაღაზიაში, რომელშიც იყიდება გაზეთი. მაღაზიიდან კუპონებს ღებულობს რედაქციის თანამშრომელი.

კონკურსი ცხადდება ასევე ერთგული მკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის მკითხველი, რომელიც რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს წარმოადგენს.

ცხელი ხაზი

გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში" მოქმედებს ცხელი ხაზი.

თუ გაქვთ პრობლემა: გესაჭიროებათ დახმარება, ან გსურთ თქვენი ხმა მიაწვდინოთ კომპეტენტურ პირსა და ორგანოს, დაგვირეკეთ ნომრებზე: 599 34 14 17, 574 34 14 17, ჩვენ შევეცდებით დაგეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში; შეგიძლიათ დაგვირეკოთ საქალაქო ტელეფონზეც: 04293 22 40 50

კუპონი №18

მთავარი თემა სამეგრელოში

გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - - - - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - - - - - - - - - - - - -

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

ხმის მომცემის სახელი და გვარი ----------

მისამართი: ----------

ტელ: ----------

ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.